იურიდიული დახმარების სამსახური

მის: თამარ მეფის გამზ. №14, 0112
თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 27 „ 9 “ „ სექტემბერი “ 2015 წ.

„ იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე – 5 მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზედაც დირექტორმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ 2014 წლის 11 ივლისს მიღებული №10 გადაწყვეტილება.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე ელზა ლეშკაშელი

საბჭოს წევრები

ნათია ჩირიკაშვილი

ილია ჭანტურაია

მარინა კვაჭაძე

ვალერი კვანტალიანი

კახაბერ სოფრომაძე

იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმები

ს.ს.ი.პ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, იმ პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებიდან ერთ–ერთს:

1. პირი მომართვამდე რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის #424 დადგენილების შესაბამისად ითვლებოდა გადახდისუუნაროდ და ენიჭებოდა სახელმწიფო ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, მაგრამ მომართვისას მისი ბოლო მონაცემი გადასულია არქივში;

2. თუ პირის ოჯახი არაა რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და წარმოდგენილი სარწმუნო დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დასკვნისათვის, რომ მისი ოჯახი იმყოფება ისეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ მიერ ადვოკატის დაქირავებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებას;

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირის მიერ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტი, მისი ან მისი ოჯახის სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა)

3. პირი დაავადებულია მძიმე ან განუკურნებელი დაავადებით, რომლის ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2013 წლის 15 თებერვლის, №01-6/ნ ბრძანებით, ასევე საქართველოს მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ შესაბამისი დადგენილებით და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

(წარმოსადგენი დოკუმენტი –სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ფორმა №IV -100/ა , პირადობის დამადასტურებელი მოწმობა)

4. მარტოხელა მშობელი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

(წარმოსადგენი დოკუმენტი - პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი)

5. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი, ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში მისი პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

(წარმოსადგენი დოკუმენტი - პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი)

6. ასაკით პენსიონერი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი)

7. პირი, იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

(ოჯახის წევრი, ახლო ნათესავთა წრე – მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული))

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;ოჯახის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი)

8. მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი)

9.საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მიერ გაცემული ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი)

10.საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის ,,კათარზისის'' (სათნოების სახლი) ბენეფიციარი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის .კათარზისის (სათნოების სახლი) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი)

11.არასრულწლოვანი პირი, რომელიც შესაძლოა იყოს მხარე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზე და რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

(წარმოსადგენი დოკუმენტი –დაბადების მოწმობა; პირადობის დამადასტურებელი მოწმობა)